განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის
სწავლების სპეციალური პირობების შექმნის წესი

მუხლი 1. წესის მოქმედების მიზანი

1. აღნიშნული წესის მიზანია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის (შემდგომში „სტუდენტი“) სწავლების სპეციალური პირობების შექმნა მათთვის სასწავლო პროცესის ძირითად საქმიანობასთან ადაპტირებულად წარმართვის უზრუნველსაყოფად.
2. სწავლების სპეციალური პირობების შექმნა გულისხმობს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ვადებთან დაკავშირებულ შეღავათებს.

მუხლი 2. განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტი

1. ამ წესის მიზნებისათვის განსაკუთრებულ კატეგორიის სტუდენტებს წარმოადგენენ:
   1.1) მოქმედი სპორტსმენები, რომელთა სპორტული საქმიანობა რელევანტურად იქნა მიჩნეული უნივერსიტეტის მიერ;
   1.2) სახელოვნებო-შემოქმედებით ანსამბლში, ჯგუფში, ან სხვა სახის კულტურულ დაწესებულებაში მოღვაწე სტუდენტები, რომელთა კულტურული საქმიანობა რელევანტურად იქნა მიჩნეული უნივერსიტეტის მიერ.
   1.3) შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის ან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლები (გარდა სავალდებულო სამხედროს სამსახურის ფარგლებში დასაქმებული), რომელთაც აქვთ საქმიანობის არასტანდარტული გრაფიკი;
   1.4) საუნივერსიტეტო სპორტულ, კულტურულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ ან/და შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად ჩართული სტუდენტები. რომელთა საქმიანობა რელევანტურად იქნა მიჩნეული უნივერსიტეტის მიერ.
   1.5) სოციალურად შეჭირვებული ოჯახიდან სტუდენტები (სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, დევნილი, ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე ოჯახის წევრებით);
   1.6) ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე სტუდენტები.
   1.7) სტუდენტი, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შეეძინა შვილი. **(01-04, 22.01.2019)**
2. სტუდენტის განსაკუთრებული კატეგორიის დადგენა ხდება შემდეგი დოკუმენტებით:
   2.1. ამ მუხლის 1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სპორტული კლუბის/ფედერაციის მიერ გაცემული ცნობა.
   2.2 ამ მუხლის 1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანსამბლის, დასის, დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობა.
   2.3. ამ მუხლის 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობით ან სხვა დოკუმენტით.
   2.4. ამ მუხლის 1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის/შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელის, რომელიც გასცემს შესაბამის შიდა მოხმარების ცნობას.
   2.5. ამ მუხლის 1.5 და 1.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჯანმრთელობის ცნობის, სოციალური სტატუსის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის, ოჯახის წევრთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტის და ა.შ.
   2.6. ამ მუხლის 1.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ბავშვის დაბადების მოწმობა. **(01-04, 22.01.2019)**

3. ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის მე-3 მუხლით დადგენილი შეღავათების დაწესების უფლებამოსილება გააჩნია რექტორს ან შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ხოლო სწავლის საფასურთან დაკავშირებით - უნივერსიტეტის კანცლერს.

მუხლი 3. სწავლების საშეღავათო პირობები

1. ამ წესის მე-2 მუხლის 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.6 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტს უფლება აქვს:
   ა) შუალედური გამოცდა ჩააბაროს შუალედური გამოცდის კვირებში ინდივიდუალური გრაფიკით;
   ბ) ფინალური/დამატებითი გამოცდა ჩააბაროს ფინალური/დამატებითი გამოცდების პერიოდში ინდივიდუალური გრაფიკით;
2. სტუდენტმა, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოსაყენებლად, შუალედური გამოცდის კვირამდე, აგრეთვე ფინალური/დამატებითი გამოცდების პერიოდამდე არანაკლებ 7 დღით ადრე უნდა მიმართოს დეკანატს ინდივიდუალური გრაფიკის შესათანხმებლად;
3. თუ ამ წესის მე-2 მუხლის 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.6 ქვეპუნქტებით განსაზღვრულმა სტუდენტმა რომელიმე საგანში მიიღო „F“ შეფასება (ჩაიჭრა), ხოლო ფაკულტეტზე დაინიშნა ამ საგნის ინტენსიური კურსი, უფლება აქვს გაიაროს ეს ინტენსიური კურსი კურსის ღირებულების გადახდის გარეშე.

4[1]. შვილიანი სტუდენტების საშეღავათო პირობები (01-04, 22.01.2019)

1. სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შეეძინა შვილი, უფლება აქვს ისარგებლოს ამ წესით დადგენილი სწავლების საშეღავათო პირობებით და ფინანსური შეღავათით - სწავლის საფასურის 50%-ით დაფინანსება. ფინანსური შეღავათი გრძელდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სემესტრული GPA იქნება 3.0 ან მეტი.
2. სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში შეეძინა მეორე და შემდგომი შვილი, თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან. დადგენილი შეღავათი გრძელდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სემესტრული GPA იქნება 3.0 ან მეტი.
3. ფინანსური შეღავათი მოქმედებს სტუდენტის მიმდინარე სემესტრისა და პროგრამის ხანგრძლივობის ვადის გათვალისწინებით.
4. ამ მუხლით დადგენილი საშეღავათო პირობები მოქმედებს 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ დაბადებულ ბავშვებთან მიმართებაში.

მუხლი 4. გადახდის საშეღავათო პირობები

1. ამ წესის მე-2 მუხლის 1.5 და 1.6 ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტუდენტებისათვის უნივერსიტეტი აწესებს სწავლის საფასურის საშეღავათო პირობებს.
2. ამ წესის მე-2 მუხლის 1.5 და 1.6 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა გადაანაწილოს ხუთ თვეზე მისთვის მოსახერხებელი გრაფიკით;
3. უნივერსიტეტში ორი ან მეტი დედმამიშვილის სწავლების შემთხვევაში, განცხადების საფუძველზე, კანცლერის ბრძანებით მცირდება სწავლის საფასური.
4. განსაკუთრებული მძიმე ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, სტუდენტზე შეიძლება გავრცელდეს სხვა სახის ფინანსური შეღავათები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლების სპეციალური პირობების შექმნის წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანცლერის ბრძანებით.

3. აღნიშნული წესის დამტკიცებით ძალას კარგავს დირექტორის 2013 წლის 22 თებერვლის #01 „განსაკუთრებული კატეგორიის სტუდენტებისათვის სწავლების სპეციალური პირობების შექმნის წესი“.